სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N 3

ქალაქი ბათუმი 1 თებერვალი 2018 წელი

ერთი მხრივ აიპ **რ. ლაღიძის სახ. სამუსიკო სკოლის** (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი **დირექტორი ნატალია ორაგველიძის** სახით და მეორე მხრივ შპს "World Print"-ის (შემდგომში „მიმწოდებელი") დირექტორი ბენიამინ ჯაველიძის სახით, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ", სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ღონისძიებებთან დაკავშირებული კანონის მე-10 [1] ნაწილის საფუძველზე და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება მასზე თანდართული ყველა დოკუმენტითა და დამატებებით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ;

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ;

1.3. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე;

1.6. „საქონელი" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;

2. ხელშეკრულების საგანი და კლასიფიკაციის კოდები

2.1 „შემსყიდველი" უკვეთავს ხოლო „მიმწოდებელი" იღებს ვალდებულებას 2.2 პუნქტით გაწერილი ხელშეკრულების ობიექტების შესყიდვას.

2.2. **ხელშეკრულების ობიექტია შეკვეთით ნაბეჭდი მასალები** (CPV – 22400000):

ა) ადრესატი „მადლობის ბარათი" - (CPV - 22458000) – 30 (ოცდაათი) ლარი;

ბ) დიპლომები „ნაბეჭდი წიგნები" – (CPV – 22110000) – 100 (ასი) ლარი;

გ) მოსაწვევები - (CPV - 22458000) – 45 (ორმოცდახითი) 45 (ორმოცდახუთი) ლარი;

დ) კონვერტები - (CPV – 22458000) – 15 (თხუთმეტი) ლარი;

ე) მოსწავლეთა მოსწრების წრიური ჟურნალი - (CPV- 22458000) – 36 (ოცდათექვსმეტი) ლარი;

ვ) აფიშა - (CPV- 22458000) – 50 (ორმოცდაათი) ლარი;

2.3. ფორმა V3 – ი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშე(კრულების ღირებულება

3.1. **ხელშეკრულების ღირებულება ჯამში შეადგენს 300 (სამას) ლარს.**

3.2. საქონლის ერთეულის ღირებულება: ლარი.

3.3. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს საქონლის ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა სავარაუდო ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, რომელთა გადახდაზეც პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

4. საქონლის მიწოდების პირობები და ადგილი

4.1. საქონლის მიწოდება მიმწოდებელმა უნდა განახორციელოს ხელშეკრულების დადებიდან 5 (ხუთ) კალენდარულ დღეში;

4.2. საქონლის მიწოდების ადგილია ქ. ბათუმი. ვ.გორგასალის N 4;

5. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება, შემსყიდველისა და მიმწოოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ მიღება-ჩაბარებას აქტის გაფომებით. .

5.2. შემსყიდველის მხრიდან საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირია რევაზ ლაღიძის სამუსიკო სკოლოდ დირექტორი, ნატალია ორაგველიძე.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

6. ანგარიშსწორების ფორმა, წესი და ვადები

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

6.2. საბოლოო ანგარიშსწორება მოხდება ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის მიხედვით შუალედური/საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის შედგენისა და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტის წარმოდგენიდან 30 დღის ვადაში. მიმწოდებელს პრეტენზია არ ექნება აუთვისებელ თანხაზე.

7. საქონლის მოწოდება

7.1 მომსახურების გაწევა ხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) დღისა.

8. გარანტია

7.1. მიწოდებული საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს და არსებულ სტანდარტებს.

9. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.

8.2. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებეს შუქრი ბასილაძე.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.07 პროცენტის ოდენობით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5 პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით განსაზღვრული ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. დაუძლეველი ძალა

10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აცნობოს ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

11.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ღირებულების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

11.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11.4. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელის მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1. შემსყიდველს შეუძლია შეწყვიტოს ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

12.2. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

14. სადავო საკითხების გადაწყვეტა

13.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მიმართოს სასამართლოს.

15. სხვა პირობები

14.1. საქონლის ან მისი ნებისმიერი ნაწილის გამოყენებისას საპატენტო უფლების დარღვევასთან, ასევე სასაქონლო მარკის ან საწარმოო ნაკეთობის გამოყენებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავების ან მატერიალური პასუხისმგებლობის მოგვარება ეკისრება მიმწოდებელს.

14.2. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საქონლის ისეთი შეფუთვა, რომელიც დაიცავს მას დაზიანების ან გაფუჭებისაგან დანიშნულების ადგილამდე ტრანსპორტირების პროცესში.

14.3. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე. მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

14.5. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული წერილის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

14.6. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის შესრულდება ქართულ ენაზე.

14.7. ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ორი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან და ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან (მხარეთა ხელმოწერის დღიდან) და მოქმედებს **2018 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.**

17. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:
აიპ რევაზ ლაღიძის სახ.
სამუსიკო სკოლა
6000, საქართველო, ქალაქი ბათუმი
გორგასალის ქ N4
ს/კ 445 404 848

მიმწოდებელი:
შპს „World Print"

ქ. ბათუმი, ა. ოსტროვსკის შეს., №3

ს/კ 445423943
სს „თიბისი"
TBCBGE22
ა/ა GE91TB7317736020100002

ნატალია ორაგველიძე
დირექტორი

ბენიამინ ჯაველიძე
დირექტორი

შემსყიდველი

მიმწოდებელი

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ.ბათუმი 01.02.2018 წელი

ხელმოწერით ვადასტურებ, რომ ჩემი მონაწილეობა აიპ რევაზ ლაღიძის სახელობის სამუსიკო სკოლის მიერ შპს **„World Print"** - თან შესყიდვის მიზნით განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვა, არ ეწინააღმდეგება „სახემწიფო შესყიდვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნას.

ნატალია ორაგველიძე
დირექტორი

ბენიამინ ჯაველიძე
დირექტორი

World Print
LIMITED LIABILITY COMPANY
GEORGIA
445423943

World Print
LIMITED LIABILITY COMPANY
GEORGIA
445423943

შემსყიდველი

მიმწოდებელი

ინფორმაცია ფასებისა და მიწოდების გრაფიკის შესახებ
ფორმა № 3

(ივსება მიმწოდებლის მიერ)

№	საქონლის დასახელება	ოდენ	ერთეულის	საერთ ო	კოდები	
1	ადრესატი „მადლობის ბარათ	2	50,00	100,00		
2	დიპლომები	50	2,00	100,00		
3	მოსაწვევები	30	1,50	45,00		
4	კონვერტები	30	0,5	15		
5	აფიშები	10	5,00	50,00		
6	მოსწავლეების წრიული	2	18,00	36,00		
8						
9						
11						
12						
13						
14						
15	ჯამი:			300,00		
16						
17	მიმწოდებლის დასახელება					
18						
19						
20						
21						
22						
23						
24						

ბეჭედი

ხელმოწერა

World Print